[illegible]

№ 590 1918 წ. პარასკევი ნოემბერი 22. № 590

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონში ფასი 60 კაპ.

87
ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის მუშათა საბჭოები დამფუძნებელი კრების მოწვევას მოითხოვენ.—საბჭოები ჰინდენბურგს ესარჩლებიან.—რეინის პროვინცია ევაკუაციის გამო დიდ გაჭირვებაშია.—გერმანიაში 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს.—კაუცკი ნაციონალიზაციის წინააღმდეგია.—კავკასიის ერთა კონფერენციის სხდომა კიდევ ვერ შესდგა.

სალომე ქაიხოსროს ასული, დავით და მიხეილ კონსტანტინეს ძენი ლორთქიფანიძენი და ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დისა და უკანასკნელი ცოლის დისა

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ., სამხედრო სასწავლებელი). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2420

გაიოზ ადამის ძე ბერელაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის მეუღლის

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინაზე (მიხეილის ქუჩა, სამხედრო სასწავლებელი). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2420

ნინო დიმიტრის ასული, ადამ ზურაბის ძე ბერელაშვილი შვილებითურთ: თამარი, ზურაბი, დავითი, იოსები და ბარბარე ადამის ასული, ვასილ ფარნაოზის ძე კიკნაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას რძლისა

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ. სამხედრო სასწავლებელი). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მწუხარებაში მყოფნი მამა პორფირე ვასილის ძე, დედა დარია მიხეილის ასული, დები ელენე, ნინო და ძმა მიშა გოჩელაშვილები გულითად მადლობას სწირავენ თელავის სოც.-ფედერალისტთა პარტიას, მის მებრძოლ რაზმს და ყველა იმათ, ვინც პატივი სცეს და დაესწრნენ უდროოდ გარდაცვალებულ ტფილისის საშუალო კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის 1 კლასის მოწაფის

კირილე პორფირეს ძე გოჩელაშვილის

დასაფლავებას. ნოემბრის 8-ს, ქალ. თელავში. 2431

დამწუხრებული მილიტინა (ლუსია), პარმენი, გაიანე ვირგინია, ლევან, ბარისი, ცაცა, ცუცა და ტაისა ჯაფარიძეები. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას, ნოემბრის 24-ს გორის სამების ეკლესიაში გადახდილ იქნება პირველთა დედის და სიდედრის, მეორეთა დედამთილის დანარჩენების, ბებიას

ნატალია ესავის ასული ჯაფარიძის

ორმოცის დღის წირვა 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ს. ეკლესიის გალავანში. 2430

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, ნოემბრის 23-ს, **ოპერა**

ტ. საბანეევის, ბ. ზალიპსკის, ფ. პოლიაევის მონაწილეობით

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.
ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღ. 7½ ს.

კვირას, ნოემბრის 24-ს დილით **ფაუსტი** საღამოთი მ. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით

ტოსკა,

სამშაბათს, ნოემბრის 26-ს საბანეევის, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი.

დასის წარმომადგენელი **ევლახიშვილი.** 1397

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
პარასკევს, 1918 წ. ნოემბრის 22-ს
გასტროლი ჰაერის ბატონების

სამი ეშმაკისა.

გასტროლი ცნობილ არტისტ-იუმორისტების და კუპლეტისტების **ზინკოვსკებისა.** გამოსვლა მასხარა **ვიქტორის** და **დიმისა.** გამოსვლა **კომოს** დასის აკრობატებისა. გამოსვლა სალონის იუმორისტის **პეტრე ელიზაროვისა.**

ანონსი: კვირას, ნოემბრის 24-ს დიდი კავკასიური ჭიდაობა.

მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი.** 2424

ს.-ფედერალისტთა ოზურგეთის მაზრის ორგანიზაციებს

ორშაბათს, ნოემბრის 25 ს, ქ. ოზურგეთში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტთა სამაზრო კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენებები სამაზრო კომიტეტისა და ადგილებიდან.
2. სამაზრო კომიტეტის რეორგანიზაცია.
3. მომავალი მუშაობის გეგმა დამფუძნებელი კრება, საეროობო მუშაობა. წარმომადგენლობა 50 კაცი გზავნის 1 დელეგატს.

1415 **სამაზრო კომიტეტი.**

განცხადება

ქართულ რკინის გზის შემოსავალ განყოფილების ეზოში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 70 ამა 25 ნოემბერს 1918 წელს (ახალი სტილით) 11-საათზე დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა წარსული წლების ანგარიშების და საბუთებისა წონით 400 ფუთამდე, ფასი 10 მანეთი ფუთი.

დაწვრილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართული რკინის გზისა, ჩერქეზოვის ქუჩა № 70—9 საათიდან 4 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმეებისა 1416

გამგეობა
ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 პარაგრაფის ძალით 1918 წლის დეკემბრის 20-ს ბანკის შენობაში (ტფილისში) ლორის-მელიქოვის ქ. საკუთარი ბინა, მოხდება საჯაროდ გაყიდვა უძრავ ქონებათა 1918 წლის ივლისის 1-დან 1919 წლის 1 იანვრამდე ხვედრი გადასახადის შეუტანლობის გამო. მეორე და საბოლოვო ვაჭრობა დანიშნულია 1919 წლის იანვრის 4-ს. დაწვრილებითი განცხადება დაბეჭდილია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ № 85. (1919 წლის ნოემბრის 7). 1418

ტფილისი, ნოემბრის 22.

რევოლიუცია და ეროვნება. ევროპის უდიდეს ნაწილში ამ ჟამად პრინციპიალურ გამარჯვებას დღესასწაულობს ციმერვალდის და კიენტალის სოციალისტ-კოსმოპოლიტები. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ლიბკნეხტის და სპარტაკის ძალები ცდილობენ გერმანული „სოვდეპია“ ატომიზმის პრინციპზე ააგონ და ფედერატიულ კონცეპციის მაგიერ ახალი გერმანია აღაშენონ არა „ზოლვერკინის“ თანახმად, არამედ ერთიან, უნიტარულ სახელმწიფოს ნიადაგზე. რევოლიუციის ძალთა ამ ტენდენციას ამ ჟამად კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ტენდენციას კაი ხანია რუსეთში აღრმავებს და აფართოვებს ულიანოვ ლენინი, საფრანგეთში და ინგლისში ამავე ტენდენციას სდარაჯობს ბულდერონი და რამზაი მაკდონალდი, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ პაწია ქვეყნების ნაბიჯებს ინტერნაციონალისაკენ გადადგმულს მუშაობას გიუსმანის სეკრეტარიატის, ბერნის კომისიის და სხვა ორგანიზაციებისას, მივიღებთ შთაბეჭდილებას, თითქოს რევოლიუციის წიაღში სადღაც მიიჩქმალა ეროვნულ არსებობის ძიება და კაცობრიობის დემოკრატია კოსმოპოლიტიზმში ეძებს გამოსავალს.

ჩვენ სწორედ ეხლა მიგვაჩნია საჭიროდ ამას მკითხველ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ, ვინაიდან არასოდეს არ მოიპოება ხალხთა ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როდესაც შესაძლებელი, საჭირო და სასარგებლო იყოს ოდნავ მაინც დავიწყება დიდი, მარადიული, ისტორიული ეროვნული პრინციპის დავიწყება. არიან საზოგადოებაში ისეთი ჯგუფები, რომლებიც ცხოვრების გულში ნაკლებად ხედავენ სინამდვილეს და მთელ შემოქმედებას ამყარებენ შეუცნობელ და ზეზე ამოტივტივებულ მოვლენაზე. ასეთი ელემენტების მოღვაწეობა ყოველთვის დამღუპველია ერისათვის, თუ ასეთ ძალას გავლენა აქვს მასზე შეუკნებლობის გამო. ნამდვილად კი თვით ეხლანდელ ევროპის უდიდესი ნაწილის მიმართვა ინტერნაციონალისადმი ჩვენ სავსებით გვიაშკარავებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი რევოლიუციონური ქვეყანა მუდამ ანვითარებს არა მარტო იმას, რაც საჭიროა ქვეყნის ამა თუ იმ კლასის ინტერესებისათვის. თვითონ დღეინდელი გერმანიაა ამ ფაქტის საუკეთესო დამახასიათებელი. არსებითად გერმანიის გეზი დღესაც არ განირჩევა ვილჰელმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გეზისაგან, თუ ვილჰელმის მთავრობა დიდ გერმანიისათვის იბრძოდა იმპერიალიზმის საშუალებით დღეს შეიდემანის და ჰააზეს მთავრობა დიდ გერმანიის შენარჩუნებას ცდილობს დემოკრატიზმის გზით ინტერნაციონალის საშუალებით. ორივე შემთხვევაში ძველი და ახალი გერმანია გერმანულ ნისიას არა სტოვებენ და ჩვენ გვგონია, გერმანული სახელმწიფო და ერი იმდენად მთლიანი ორგანიზმია, მასში იმდენი ინტელექტუალური, მორალური, ეკონომიური და ეროვნული ენერგიაა დაგროვილი, რომ ამ საბოლოო მიზანს ის მიაღწევს. თუ იმპერიალისტურ გერმანიაში გამეფებული იყო ცნობილი ბურგგრაფენის პოლიტიკა, თუ დღეს თითქმის კარლოს ლიბკნეხტის ანაციონალიზმია გამარჯვებული, ორივე შემთხვევაში კი ერთი მიზანია დასახული: დაცვა გერმანელების ეროვნული ინტერესებისა, რაიც ნიშნავს ამავე დროს დემოკრატიის კლასობრივ ინტერესების და კულტურულ ძალების დაცვას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი.

ეროვნული ინტერესების დაცვა საუკეთესო პირობაა დემოკრატიის კლასობრივ ინტერესების დასაცავად და თანამედროვე პირობებში თვით ლენინის პოლიტიკა რუსეთში ჩვენ მიგვაჩნია რუსეთის ხალხისათვის სასარგებლოდ თუ ლენინის პოლიტიკა ნიშნავს ამავე დროს საერთაშორისო დემოკრატიის გამოფხიზლებას ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებათა დასაცემად. თვით ჩვენი ქვეყანა რევოლიუციის არც ერთ მომენტში არ გადასულა ეროვნულ ხაზზე, საქართველოს სოციალ-დემოკრატია მუდამ იყო რევოლიუციონური, ამავე დროს ის იყო ნაციონალურიც, ინტერნაციონალურიც და ვინ არ ხედავს, რომ ამ პოლიტიკით ჩვენი ქვეყნის დემოკრატიამ ბევრი რამ შეიძინა კულტურის ყოველ დარგში. საქართველოც იმის დამადასტურებელია, რომ ეროვნულ პოლიტიკის გამარჯვება არსებითად დემოკრატიის კლასობრივ ინტერესების გამარჯვებაა და ამ ინტერესებისათვის ჩვენ გვმართებს ნაცადს, სწორს, და რევოლიუციონურ ეროვნულ პოლიტიკას არასოდეს ავსცდეთ. ჩვენ დღეს მიგვაჩნია ამ მომენტისაკენ ხალხის ყურადღების მიქცევა რადგან ბევრი რამ ისეთი ხდება ევროპაში, რაიცა შეიძლება ყალბად გავიგოთ ზერელე აზროვნების შეწყობით და მით დაღუპვის კარამდე მივიყვანოთ დემოკრატია. მაშ ეხლაც მარადიული პრინციპია ჩვენს წინაშე გადაშლილი: სოციალისტურ ნაციონალიზმით ინტერნაციონალისაკენ, რაიცა ნიშნავს დემოკრატიზმით სიარულს სოციალიზმისაკენ.

საქართველო და რუსის რეაქციონერები

რუსის რეაქციონერებს საქართველოში თავიანთი მიზნები აქვთ. მათ ჰსურთ საქართველო ჩაითრიონ ამ კონტრ-რევოლიუციონურ კოალიციაში, რომელიც დღეს ბოლშევიზმს ებრძვის და რომელიც ამასთანავე ერთად მოწადინებულია მოსპოს არა მარტო ბოლშევიზმი, არამედ საზოგადოდ დემოკრატიული წეს-წყობილება. ყველა ეს დენიკინები, კრასნოვები და სხვები მატარებელნი არიან შავი რეაქციისა, რომელთაც საქართველო ვერასოდეს ვერ შეურიგდება და რომელთანაც ყოველივე კავშირი გასწყვიტა საქართველოს დემოკრატიამ. საქართველომ და მისმა ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა წრეებმა საკმაოდ გამოიჩინეს და გამოჰხატეს თავიანთი დამოკიდებულება ბოლშევიკური რუსეთისადმი. საქართველოს დემოკრატიამ ბოლშევიკური გზა დამღუპველად დასახა და შეუდგა თავის საკუთარ სახელმწიფოებრივ საალმშენებლო მუშაობას თანახმად საღი დემოკრატიზმისა და პარლამენტარიზმისა. ანარქისტულ ნგრევასა და რღვევას საქართველომ დაუპირისპირა ორგანიზაციული ბრძოლა მუშათა კლასისა, ბოლშევიკური ტერორისა და სამოქალაქო ომს, გაუთავებელ სისხლის ღვრას დემოკრატიული ფორმები რესპუბლიკანური წესწყობილებისა. საქართველოს უკვე აქვს აღებული სწორი და ნამდვილი გეზი სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა, რომელიც საშუალებას მისცემს მას შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანოს ოთხი წლის საშინელი შედეგები, განიკურნოს ამ ომით მოყენებული ჭრილობები და ჩვენი ხალხი მშვიდობიანი პროგრესის გზაზე გამოიყვანოს. საქართველოს არც ჰსურს და არც შეუძლიან კვლავ ბოლშევიკური რუსეთის ექსპერიმენტებს ეზიაროს და ჩვენი ქვეყანა კვლავ ანარქიისა და სამოქალაქო ომის ცეცხლში გაახვიოს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი უბრძოლველად დაჰმორჩილდება იმ შავ-ბნელ ზრახვებს, რომლებსაც გულში ატარებენ რუსის რეაქციონერები და შავ-რაზმელები, უბრალო გახსენებაც კი იმისა, რომ საქართველო კვლავ ამ შავ-რაზმელებისა და რუსის რეაქციონერების სათარეშო მოედნად შეიძლება გადაიქცეს, ისეთს ცეცხლს დაანთებს ჩვენს ქვეყანაში, რომ მასში ჩაიხრჩობა ყველა, ვინც ამნაირი ექსპერიმენტის მოხდენას მოისურვებს. მოხალისეთა რაზმი, კრასნოვი, დენიკინი და მილიუკოვები, რომლებიც ჯერ ისევ მონარქიაზე ოცნებობენ,—ყველა ეს ისეთი ელემენტია, რომელსაც საქართველოსა და მის დემოკრატიას მხოლოდ საშინელი ბრძოლით შეუძლიან შეჰხვდეს.

რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომლის ავტორიც სხვათა შორის სწერდა, არა გვგონია ინგლისმა მოისუროს და საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ჩარევით კვლავ არეულობა გამოიწვიოს ქვეყანაშიო. იგივე ავტორი სწერდა, რუსის შავ-რაზმელებმა თუ მოახერხეს და საქართველოს დახმარებით ბოლშევიკები მოსპეს, მაშინ თავიანთ მოკავშირეებს შეებრუნდებიან და საქართველოში მოსპობენ დემოკრატიას, რომელიც ბოლშევიკებზე არა ნაკლებ სძულთო, სრული ჭეშმარიტებაა! დღეს რუსეთის გაერთიანების იდეის მატარებლად გამოდის ურეაქციონერესი ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა და ეს ნაწილი კი საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის ავის მეტს არაფერს მოიტანს. დღეს კი სწორედ ეს ელემენტი ჰგრძნობს თავის თავს წაათამამებულად, არ ვიცით, რა ობიექტიური პირობები ჰქმნის ამნაირ ოპტიმიზმს რუსის შავ-რაზმელებში მსოფლიო მნიშვნელობის ამბები, რევოლიუციის ტალღა, რომელიც მთელ ევროპას ედე-

ზა, არა გვგონია კარგი მასალა იყოს ამნაირი ოპტიმიზმისთვის. თუ რუსის შავ-რაზმელებსა და რეაქციონერებს, ამ ანარქისტებს მარჯვნიდან, ვინაიდან მათი გამოსვლას მხოლოდ ანარქია შეიძლება მოჰყვეს, დღეს იმედები გაღვიძათ, შესაძლებელია ეს ინგლისის კოალიციის გამარჯვებითაც იყო. მარემ სთქვან რაცა სწადიათ და რის იმედითაც არიან! რუსის შავ რაზმელები და რეაქციონერები იმედოვნებენ, რომ ინგლისი საქართველოს გამოიყენებს ბაზად ბოლშევიკებთან ბრძოლაში, რომ საქართველოს ამ რეაქციონურ რუსეთს დაუკავშირებს და ამრიგად დაიწყება ძველი, ჟანდარმული და პოლიტიური რუსეთის აღდგენა ინგლისის დახმარებით. ამ იმედებითა სცხოვრობს დღეს რუსი შავ-რაზმელობა, რომელიც ჩვენი მთავრობის უცნაური ღომობიერების წყალობით კიდევ ბოგანობს საქართველოში.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს სრულიად უნიადაგო და უსაფუძვლო იმედებია, თუ რასაკვირველია ჯერ კიდევ აქვს თავისი ძალ. და მნიშვნელობა გონიერებას. ინგლისმა რომ მოისურვოს და ძალით მოახვიოს საქართველოს რეაქციონური რუსეთის მიზნები, მან აუცილებლად ბრძოლა უნდა გამოუცხადოს და დაამსხვრიოს ის წესწყობილება, რომელიც ანტიბოლშევიკურმა პოლიტიკამ წარმოშვა და რომელიც ნორმალურ სახელმწიფოებრიობაში გამოიხატება. საქართველომ თავისი საკუთარი ძალ-ღონით, სხვების დაუხმარებლად შეჰქმნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, შეჰქმნა წესიერება მაშინ, როდესაც ყველაფერი ამ წესიერების წინააღმდეგ იყო და არის მიმართული. საქართველოს მთავრობასთან ბრძოლა იქნება ბრძოლა ანარქიასა და სამოქალაქო ომის დამყარებისთვის. საქართველოს დაკავშირება იმ კოალიციასთან, რომელსაც ჰსურს ძველი რუსეთის აღდგენა, იქნება საშინელი უკმაყოფილების ნაკვერჩხალის გადაგდება ქართველი ხალხის შუაგულში. ჩვენ ინგლისელები ისეთ ბეც და წინდაუხედავ პოლიტიკოსებად არ მიგვაჩნია, რომ მაშინ, როდესაც იგი რუსეთში ცდილობს წესიერების აღდგენას, ჩვენში, სადაც ეს წესიერება უკვე დამყარებულია, კვლავ სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. და რომ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრება სწორედ დიდი სამოქალაქო ომის საბაბად გადაიქცევა, ეს დღეს აღარავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს. სწორედ ამიტომ სრულიად უნიადაგოდ მიგვაჩნია რუსის შავ-რაზმელების ის იმედები, რომლებსაც ისინი ინგლისელებზე ამყარებენ.

როგორც ვხედავთ სარევოლიუციო მოძრაობის ლოკალიზაცია არ მოხდა, იგი რუსეთის ტერიტორიის ფარგლებით არ განისაზღვრა. რევოლიუციაა გერმანიაში, ავსტრიაში. როგორც ცნობები მოდის, სარევოლიუციო მოძრაობა დაწყებულა საფრანგეთშიაც. ავსტრია დაირღვა და გაჩნდა ახალი სახელმწიფოები ისევე, როგორც რუსეთში. ჩვენა ვსდგევართ უდიდესი ცვლილებების, უდიდესი ტრანსფორმაციის წინ. და ამ უდიდეს ცვლილებათა ხანაში ყოვლად შეუძლებელია საქართველო მხოლოდ რუსეთის შავრაზმელთა იდუმალ გულის ზრახვათა ობიექტად გადაიქცეს. ყველაფერი ეს ცხად-ჰყოფს ჩვენთვის, რომ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჩვენს პოზიციას და მთელ ქვეყანას თამამად შევსძახოთ: საქართველო თავისუფალია და თავისუფლად დარჩება ბოლომდის.

არ. ჯაჯანაშვილი.

აგრარული კანონ-პროექტი

1.

რუსეთის რევოლიუციის ბელადებს— ჩვენს სოც.-დემოკრატებს კარგი გაკვეთილი ჰქონდათ წარსულისა. მათ იცოდნენ, რომ აგრარულ რეფორმის დაგვირგვინებამ, მისმა გადადებამ დამფუძნებელ კრებისათვის დიდი არევ-დარევა შეიტანა დემოკრატიაში, დაშალა რევოლიუციონური ფრონტი, გაამეფა ანარქია და მის ნანგრევებზე წარმოშვა აწ ისტორიულ ეტაპად აღიარებული ოქტომბრის დიქტატურა ბოლშევიზმისა.

ასეთის გაკვეთილით არ შეიძლებოდა არ ესარგებლა ჩვენს სოც. დემ. და წარსულის შეცდომას გვერდი აუხვიეს, მათ აღარ დაუცადეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ეს უაღრესი მნიშვნელობის საკითხი საქართველოს დემოკრატიისათვის, უაღრესი არა მარტო მისი სოციალური პერსპექტივებით, არამედ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობისათვისაც, უკვე გადასწყვიტეს პარტიის მერვე ყრილობაზე. ის, რაც დღემდე ხდებოდა—ჩვენში რეალურად ამ რეფორმის ირგვლივ არც ერთის მხრით არ შეიძლებოდა დამაკმაყოფილებელი გამხდარიყო. როგორც დეკემბრის 16 დეკრეტი, ისე მარტის 7-ს კანონი ყველა მისი განმარტება-ინსტრუქციებით სრულიად არ ეხებოდა მშრომელი ხალხის პირდაპირ ინტერესებს, არ განმარტავ დ მიწის მფლობელობას დ სარგებლობის წესს და მარტო ყოფილ მემამულეებს ეხებოდა. ვიმეორებ, ეს იყო უხეირო გადაჭრა საკითხის პირველ ნახევრისა, ხოლო მეორე მხრით იგი სრულიად ღიად სტოვებდა საკითხს და აგერ წელიწად ნახევარზე მეტია ანარქიას და არევ-დარევას ამკვიდრებდა. და ეხლა ძლივს ეშველა ამ საკითხის მთავარ მხარეს გადაწყვეტა. ჩვენ ქვევით დავინახავთ—რამდენად სოციალისტური და მიზანშეწონილია ასეთი „გადაწყვეტა", მაგრამ თავისთავად აგრარული რეფორმისათვის მას დიდი მნიშვნელობა ექნება და სავსებით დაჩრდილავს ყველა მას, რაც ამ მხრივ გაკეთებულა ჩვენში რევოლიუციის დასაწყისიდან.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამ ჩვენი აზრი, რომ ყველა აქამდის გადადგმული ნაბიჯები (დეკემბრის დეკრეტი, მარტის 7 კანონი და მიწათმოქმედ. სამინისტროს ინსტრუქციები) სრულიად არ შეეფერებიან საქართველოს სინამდვილეს, რომ საქართველოს მიწათმფლობელობა იმდენად წვრილია და და ჭრელი თავისი გეოგრაფიული სხვადა სხვაობით და მიწის ხარისხის ნაირობით, რომ შეუძლებელია 1 შაბლონით გადიჭრას და ცხოვრების ნორმის საკითხი და თუნდაც ასეთი შეცდომა ჩავიდინოთ, ყოვლად შეუძლებელია ისეთი დიდი ზომის ნორმების დატოვება, რომელიც დაშნაკელების და მუსავატელების ინტერესს უფრო შეეფერებოდა და ამიერკავკასიის საერთო ფონზე შესაძლო იყო. მეორეს მხრით ეს კანონები დატოვების ნორმაში ხელუხლებლად სტოვებდნენ ძველ ურთიერთობას, კერძო საკუთრების ინსტიტუტს. ამით რევოლიუციის პირველსავე ხანაში საძირკველი ჩაუყარა და ახალის კანონდებით უფრო განამტკიცდა პრინციპი კერძო საკუთრებისა, აშკარაა, სოც. დემ მაშინვე განწირულად სთვლიდა თავის აგრარულ პროგრამას მუნიციპალიზაციის სახით და პირველი ნაბიჯიც გადასდგა მის განსახორციელებლად. აშკარა იყო—იმ თავად ჩაისახა ის ტენდენცია, რომლის მიხედვით უნდა წასულიყო სოც.-დემ. აზრით ჩვენი მიწათ მფლობელობა და ეს ტენდენცია მეტის ენერგიით იხრებოდა ბურჟუაზიულ ტრადიციებისაკენ, ვიდრე რევოლიუციის ახალ ლოზუნგებისაკენ.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ სოც. დემ. ბედი არ უჭრის ამ საკითხში, პერიოდული ხასიათის რევიზია სულ სხვა სახის რეზულტატებს იძლევა და მთელის ენერგიით უხდება ამ პარტიას იმ კერპის ღამსხვრევა, რომელიც მან ასე თის ზრუნვით შექმნა გუშინ და რომელიც ერთხმად „მიაღებინა" გლეხთა ყრილობას.

პარტია ზედ-მეტ ილიუზიებს ქმნის და მოლას არაკი ემართება: მიაღებინებს უეც დელეგატებს (უმეტესად საკუთარ პროპაგანდისტებს) რეზოლიუციას ახალ ექსპერიმენტის სახით და თვითონ სჯერა, რომ ეს ჩვენი გლეხების ხმაა. შემდეგ თვითონვე რწმუნდება ამ პროგრამის უნიათობაში, და ხელახლა ახდენს ასეთ ექსპერემენტებს: საზოგადოდ იგი ამ სფეროში მეტად ცუდად იყენებს ჩვენი გლეხების მისდამი ნდობას და ვშიშობ, საბედისწერო არ გახდეს მისთვის ასეთი სახიფათო თამაში. ჩამონაჭრები, „ჩორნი პერედელი", მუნიციპალიზაცია, კერძო საკუთრებად მისყიდვა კალეიდოსკოპურის სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს. მაგრამ თუ აქამომდე ყველა ამ ექსპერიმენტს თეორიული ხასიათი ჰქონდა და იმდენად სახიფათო არ იყო, ეხლა, როცა სოც. დემ. მესაჭეა ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრებისა და როცა საქართველოს პარლამენტი თმენით იცდის, იცდის მთელი გლეხობა საქართველოსი, თუ რას იტყვის სოც. დემოკრატია თავის ყრილობაზე, რომ ამის და მიხედვით გადაწყდეს აგრარული ურთი-ერთობა ჩვენში, როცა ყველა ამას პრაქტიკული განხორციელება უნდა ხვდეს წილად, ყველა ამ დროს განსაკუთრებით საყურადღებო ხდება სოც. დემ. ახალი ექსპერიმენტი და საქართველოს მშრომელ ხალხს ჰმართებს მეტის სიფხიზლით დაუხვდეს ახალ კანონ პროექტს სოც. დემ. რომ მისი შედეგები სანანურად არ გახდეს ქართველ დემოკრატიისათვის.

აკ. პ—ვა.

ქართული პრესა

ჩვენს გაზეთში ბევრჯერ გვქონია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციის საქმეები ცუდად არის მოწყობილი. აღვნიშნავს აგრეთვე ის, რომ ხშირად ადმინისტრატორები და სხვა და სხვა პარტიული ორგანიზაციები ერევიან ადმინისტრაციის საქმეებში და არევ-დარევას ჰქმნიან. ამ დღეებში დავასახელეთ კიდევაც ისეთი ადმინისტრატორები, რომელნიც აგიტატორობას და პროპაგანდისტობას ეწევიან და საკუთარი პირდაპირი საქმე კი უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული. ფრიად სასიამოვნოა, რომ გაზეთი „ერთობაც" ჩვენს თვალთსაზრისზე დამდგარა და სრულიად სამართლიანად შემდეგს სწერს:

ძველი მთავრობის მექანიზმის მოშლამ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დააკისრა მრავალი ისეთი საქმე, რომელიც მხოლოდ მთავრობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს.

ამ ორგანიზაციებმა თავის დროზე იხსნეს ქვეყანა ანარქიისაგან და ხალხის ბატონობას გზა გაუკაფეს.

მაგრამ გავიდა ხანი, ნგრევის პროცესი დასრულდა და ჩვენი დემოკრატიაც სამშენებლო მოღვაწეობას შეუდგა. ასეთ პირობებში ზედმეტი გახდა პოლიტიკურ ორგანიზაციების პირდაპირი ჩარევა ქვეყნის მართვის საქმეში.

ყველაზე უწინ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მუშათა დეპუტატების საბჭომ და მართვა გამგეობის ყველა ფუნქციები ადმინისტრაციას გადასცა.

იქ მან გამოიჩინა დიდი პოლიტიკური სიმწიფე და შორსმჭვრეტელობა.

მაგრამ რევოლიუციის პირველ თვეების მემკვიდრეობამ, საუბედუროდ, ღრმა კვალი დასტოვა ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციებში. ბევრ ალაგას გაიგონებთ სოფლად საყვედურს იმის გამო, რომ ესა თუ ის პარტიული ორგანიზაცია პირდაპირ ერევა ადმინისტრაციის საქმეებში, რითაც დიდ არევ-დარევას იწვევს იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ხშირათ არ იცი: ვინ არის ამა თუ იმ საქმის გამკეთებელი და ვინ უნდა აგოს პასუხი უმაღლეს მთავრობის წინაშე. თითონ პარტიულ ორგანიზაციისთვისაც მავნებელია ასეთი ჩარევა: გარდა იმისა რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ისეთს საქმეში, რომელიც მის მოვალეობას არ შეადგენს და ხალხის თვალში სახელი უტყდება, პარტიული ორგანიზაცია სხვის საქმეში ჩარევით შორდება თავის ნამდვილ დანიშნულებას.

ფუნქციების არევა იმდენათ ძლიერია, რომ ხშირად თითონ ადმინისტრაცია ერევა ისეთს საქმეში, რაც სრულებით არ შეადგენს მის მოვალეობას. ასეთია კომისრების და მილიციონერების ყოფა-ქცევა არჩევნებში. ისინი ხშირად გამოდიან პარტიულ ორატორების როლში და ხალხს ურჩევენ ამა თუ იმ პარტიას მისცენ ხმა. ამავე დროს თავის პირდაპირ მოვალეობას უყურადღებოდ სტოვებენ. ეს არ არის დასაშვები.

შესაძლებელია, ვინმემ მიგვითითოს გერმანიის ამბებზე. იქ უკვე მოეწყო საბჭოები. რომელნიც ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეში ერევიან.

მაგრამ რაც ბუნებრივი და დასაშვებია გერმანიისთვის, ის უადგილოა ჩვენში ჩვენ უკვე განვლეთ ის ხანა, რომელსაც გერმანია განიცდის. ის სწორედ ახლა დაიწყო ის პროცესი ნგრევისა, რომელიც ჩვენში უკვე დათავებულია.

ამიტომ, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი საკუთარი გზით სვლა. ეს გზა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ დემოკრატიული წყობილება უნდა შევქმნათ, ახალი სახელმწიფოს აპარატი უნდა გავამაგროთ და არაფერი ისე არ ავნებს ამ ახალ წყობილების განმტკიცებას, როგორც ფუნქციების არევა და მრავალი მთავრობიანობა.

დროა შევიგნოთ, რომ ყველამ მხოლოდ თავისი საქმე უნდა აკეთოს: კანონმდებელია ჩვენი დემოკრატიული პარლამენტი, კანონების აღმსრულებელია მთავრობა, ხოლო პოლიტიკურად ორგანიზაციები ეწევიან პროპაგანდა-აგიტაციას და შესაფერ გავლენას ახდენენ არა პირდაპირ.

პირდაპირი ჩარევა საქმეებში კი ქმნის არევ-დარევას და ხელს უწყობს ანარქიას.

მთავრობაში

ნოემბრის 19-ს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას იუსტიციის მინისტს ათ მილიონ ფონდიდან კრედიტი, ხემინისტროს ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში—საგანგებო სასამართლოსათვის ოქტომბრისა და ნოემბრის ხარჯების დასაფარავად.

—

საქართველოს რესპუბლიკის სახლის პატრონთ სტიქიური ზარალი აენაზღაუროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ზარალი მათ საქართველოს ჯარის ბინადრობით, ან გავლით მოუვიდათ.

—

განათლების მინისტრის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი ტფილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვისათვის მიღებულ იქმნას სახ. კონტროლიორის დასკვნის მიხედვით.

—

მიღებულ იქმნას ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი ამ სამინისტროს საგარეო ვაჭრობის განყოფილების (საქონლის გამცვლელი კომიტეტი) დამატებითი კანონ-პროექტი. იმ შესწორებით, სახ. კონტროლიორს რომ დაუნახავს.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი. ნოემბრის 19).

აკ. ფაღავა (ს-ფედ.) ბატონო პარლამენტის წევრნო! მართალი მოგახსენოთ განცვიფრებული ავდივარ ამ კათედრაზე. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონ-პროექტი ესოდენ ცხარე კამათს გამოიწვევდა. აქ ჩემს წინ მოლაპარაკე ორატორებმა სულ სხვა გვარად დააყენეს საკითხი, ვიდრე იგი ნამდვილადა სდგას. ბ სპ. კედია დიდის გაცხარებით იბრძოდა, მაგრამ მისი ბრძოლა ვერ იყო მიზან შეწონილი. იგი იცავდა რელიგიას საზოგადოდ და ქრისტიანიზმს კერძოდ. მაგრამ აქ არც ერთისა და არც მეორეს წინააღმდეგ არავინ გამოსულა ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ რელიგიურ და აგრეთვე ყოველგვარ რწმენათა თავისუფლებას, სწორედ ჩვენ არ გვინდა, რომ ერთგვარი რწმენა იყოს სავალდებულო ყველასათვის. ქრისტიანობამ დიდი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში, კერძოდ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს, მაგრამ დღეს დადგა ჟამი იძულებითი ხასიათი არა ჰქონდეს მას. მართალია ბ. კედია, როდესაც აღნიშნავს, რომ ჩვენში საეკლესიო ლიტერატურა დიდ საუნჯეს წარმოადგენს და საეკლესიო ხუროთმოძღვრება წარუშლელი დარჩება ჩვენში, მაგრამ მე ვეკითხები იმავე ორატორს—რა საერთო აქვს ამას საღვთო სჯულის სწავლებასთან? მე და ზოგიერთ აქ მჯდომს საღვთო სჯული გვისწავლია ისეთ სკოლაში, სადაც ქართული კულტურის ლამპარი მუდამ მაღლა ეჭირათ და მასწავლებელნიც კარგნი გვყოლია, მაგრამ იქ საღვთო სჯულის გაკვეთილებზე ჩვენ არც ქართულ საეკლესიო ლიტერატურაზე გვსმენია რამე და არც ხუროთმოძღვრებაზე. პირველი თუ გაუცვნია ჩვენთვის ისევ ქართული ლიტერატურის მასწავლებელს და მეორეზე საუბარი გვქონია მხოლოდ ისტორიკოსთან. ამგვარად ამ საგანს საღვთო სჯულის სწავლებასთან არაფერი საერთო დღემდის არა ჰქონია. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რას და როგორ გვასწავლიან საღვთო სჯულის გაკვეთილებზე—უმცროს კლასებში—მეტად საეჭვო თქმულებებს და მექანიკურად გვაზეპირებდნენ ლოცვებს, რომელთა აზრი და მნიშვნელობა ბავშვისთვის მიუწვდომელი იყო, უფროს კლასებში სამღვდელოების შესამოსელთა—ოლარსა ანაფორასა და სხვათა და სხვათა, რაც დამეთანხმებით ყველანი-ყველასათვის დიდად საჭირო არ არის. აქ მეორე ორატორმა ბ. ქარუმიძემ ბრძანა—თქვენ საღვთო სჯულის მოსპობით ცარიელ ადგილს სტოვებთ სკოლაში, ერთგვარ „სუფთა ფიცარს" („ტაბულა რაზას") ქმნით და ამ სუფთა ფიცარზე ვინ იცის, ვინ რას წააწერსო. მე უნდა მოვახსენო ბ. ქარუმიძეს, რომ საღვთო სჯულის გაკვეთილები „ცარიელ ფიცრად" დიდი ხანია ქცეული ფაქტიურად თვით საღვთო სჯულის მასწავლებელთა მიერ და ჩვენი ბრალი არ არის, რომ შექმნილ მდგომარეობას გადასტურებით და ყალბ მდგომარეობას ვააშკარავებთ. ჩვენ არ გვინდა სიცარიელე ხალხის ჯიბით დაიფაროს. მესამე ორატორი ბ. აფხაზი ბრძანებდა—ვიდრე თქვენ არ შემოგვიღიათ თუნდა მორალის [illegible]—არა აქვთ უფლება ხალხს წაართვათ სარწმუნოება და საღვთო სჯულის სწავლება მოსპოთო ჩვენ მორალის, ან ეთიკის სწავლების წინააღმდეგ არაფერი გვაქვს, მხოლოდ ეს მომავალის საქმეა და როდესაც ჩვენს წინაშე წარმოსდგება სათანადო კანონპროექტი, ან საუბარი გვექნება ახალი სკოლის ახალ სამოსწავლო სისტემაზე, ამაზე მაშინ ვისაუბრებთ. დღეს კი ჩვენ სარწმუნოებას არავის ვართმევთ, მხოლოდ ვსპობთ საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლებას. ვინც მოისურვებს—ისწავლოს საღვთო სჯული, რა სახითაც უნდა მას ამისი სრული უფლება აქვს და ექნება.

ახლა გადავდივარ სასკოლო კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტზე. ამ კანონპროექტისათვის ს. ფ. ფრაქციას აქვს თავისი შესწორებანი: მაგალითად, პირველი მუხლი ამბობს მოისპოს საღვთო სჯულის სწავლება სახაზინო და კერძო უფლებიან სასწავლებლებში— და იგივე პროექტი მეოთხე მუხლში აღნიშნავს—მშობლები თუ მოისურვებენ შეუძლიათ ასწავლონ საღვთო სჯული აქ ლოგიური შეუსაბამობაა და თან პრინციპიალური შეცდომაც. ჩვენ ხომ სულ არა ვსპობთ საღვთო სჯულის სწავლებას. ჩვენ უარვყოფთ საღვთო სჯულის ყველასათვის სავალდებულო სწავლებას. ამისათვის ჩვენ სათანადო შესწორება შეგვაქვს პირველ მუხლში, რასაც მუხლობრივ განხილვის დროს წარმოგიდგენთ. მეორე მუხლი რედაქციის მხრით უხერხულია და ისიც უნდა შეიცვალოს, მესამესა, მეოთხესა და მეხუთეს ჩვენ უცვლელად ვღებულობთ. რაც შეეხება მეექვსე მუხლს—სადაც შარიატის სწავლებაა. საჭიროდ აღიარებული ჩვენ პოლიტიკური მოსაზრებით მომხრე ვართ ამ მუხლის კომისიის რედაქციით დატოვებისა, მხოლოდ მეშვიდე მუხლი უნდა შესწორდეს ამგვარად „ხარჯები შარიატის სწავლებისათვის გაღებულ იქმნას არსებულ წესით" ე. ი. ადგილობრივ და სპეციალი თანხებისაგან, რომ ამით მთელი სახელმწიფო არ დაიბეგროს და ნაწილის სამსახური მთელს არ დაევალოს, დასასრულ ჩვენ მოვითხოვთ რომ უკანასკნელი მუხლი, რომ კანონ-პროექტი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისაო, შეცვლილ იქმნას ტეხნიკური მოსაზრებით დროებით დარჩეს საღვთო სჯული და კანონიც ძალაში შევიდეს მომავალ სამოსწავლო წლიდან.

წინადადება შემოდის შეწყდეს კამათი.

რადგან კამათის მომხრე 15-ზე მეტია, კამათი გრძელდება.

რ. ივანიცკი (ნ.-დ.) მოაგონებს პარლამენტს, რომ არსებობს სარწმუნოების კომისია, რომელსაც ყურადღებას არ აქცევს. თან უსაყვედურებს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ არც ერთი კანონპროექტი არ შედის ამ კომისიაში. არც უკანასკნელი კანონ-პროექტი საღვთო სჯულის სწავლების მოსპობის შესახებ იქმნა შეტანილი სარწმუნოების კომისიაში ამ იურიდიული მოსაზრებით ორატორი მოითხოვს რომ კანონ-პროექტი უკან იქნეს წაღებული. შემდეგ ორატორი ეხება კანონ-პროექტს არსებითად, და ამბობს, რომ არავის აქვს უფლება მოსპოს საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში ხალხის დაუკითხავად.

წინადადება შემოდის კამათი მოისპოს.

კამათი ისპობა.

შემოდის აგრეთვე მეორე წინადადება კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა შემდეგი კრებისათვის გადაიდოს.

წინადადება მიღებულია და ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე კრება იხურება.

ზავის გარშემო

ნეიტრალური ზონა.

ხმები, ვითომც გერმანიის ჯარს ადმინისტრაციას განზრახული ჰქონდეს ნეიტრალურ ზონიდან და იმ ადგილებიდან, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა უნდა დაიჭირონ, გაიყვანონ ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, სინამდვილეს არ შეეფერება.

რეინის ოლქის გაჭირვება.

რეინის გაზეთების გამომცემელთა კავშირმა აუწყა მთელი ქვეყნის გაზეთებს რეინის ოლქთა გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც ის დროებითი ზავის მკაცრმა პირობებმა ჩააყენა. „რკინის გზის მასალის გადაცემა ამ ოლქებს შიმშილს უქადის, ამას გარდა

შეუძლებელი ხდება საგარნიზონო ჯარის გამოკვება და ის მცირე სურსათიც, რომელიც რეინის ოლქებშია, ჯარის უკან დახევის დროს სრულიად გამოილევა". მოწოდება ასე თავდება: „ჩვენ ვთხოვთ მთელი ქვეყნის პრესას აგვაცდინოს საფრთხე, რომელიც რეინის ადგილებს ემუქრება და მოითხოვს, რომ ის ტერიტორია, რომელმაც განიცადა ომის საშინელება სრულიად არ განადგურდეს. რეინის პროვინციის ლიბერალიზმი ცნობილია მთელი ქვეყნისთვის. დაგვიფარეთ ძალადობისგან და შეუიარაღობლისაგან".

წყალ-ქვეშა ნავები.

ინგლისური პრესა 19 ნოემბ. ქალ. ვილგემსგაუფენში წყალ-ქვეშა ნავების უფროსებმა 15 ნოემბ. სხდომაზე მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ გერმანელი მეზღვაურები ყოველგვარ სამსახურს გაუწევენ სამშობლოს მით, რომ ყველა წყალქვეშა ნავებს მიიყვანენ იმ ადგილას, რომელიც დროებითი ზავის პირობებშია აღნიშნული.

გერმანიის წყალქვეშა ნავების პირველი წყება უკვე ჩააბარეს მოკავშირეთ· ჩაბარება სრულის სიწყნარით ჩატარდა, რადგან განკარგულება მოვიდა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების ჩაბარების დროს ზეიმს და სიხარულს ადგილი არ ქონოდა, ბრძანება აასრულეს. ამ რიგად გერმანიის წყალქვეშა ნავების ერთი ჯგუფი ინგლისის მეზღვაურების ხელში გადავიდა.

გერმანიის მთავრობა ემზადება ჩრდილოეთ შლეზვიცის ბედი გადასწყვიტოს პლებისციტის საშუალებით.

ცენზურის მოსპობა.

საადმირალომ განაცხადა, რომ სამხედრო ცენზურა 20 ნოემბრიდან გაუქმებულ იქნება.

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეებს და ამერიკას რადიო დეპეშა გამოუგზავნა, სადაც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ დროებითი ზავის პირობები ემუქრება რეინის მარცხენა მხარის ეკონომიურ ცხოვრებას და რეინის მარჯვენა ნაპირის გერმანის ტერიტორიასთან ურთიერთ დამოკიდებულებას, და აცხადებს, რომ თუ პირობები არ შემსუბუქდა ცხოვრება აუტანელი იქნება და ბოლშევიზმის გაძლიერება აუცილებელია.

რევოლიუცია გერმანიაში

საბჭოები და დამფუძნებელი კრება.

გერმანული პრესა 19 ნოემბერი. კოლონის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის ფორმალურ განმარტებათ ეთანხმება და მხარს უჭერს რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს ორგანიზაცია მხოლოდ დროებითია. გერმანიის წესწყობილების საკითხს საბოლოოდ გადასჭრის ეროვნული კრება, დიქტატორობა უარყოფილი უნდა იქნეს.

პარტიათა შეთანხმება.

გაზეთების ცნობით, დამფუძნებელი კრების მოახლოვებულ არჩევნების გამო, ნაციონალ-ლიბერალებსა და პროგრესისტებს მოლაპარაკება ჰქონდათ შეთანხმებაზე. შეთანხმება ყოველი მხრით მოხდა.

ჰინდენბურგი და საბჭოები.

მთავარ ბანაკის კასელში გადასვლის გამო, მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოაქვეყნა: მოქალაქენო და ჯარის კაცნო, დღეს ფელდმარშალი ჰინდენბურგი მთავარ ბანაკის ოფიცრებთა და ჯარის-კაცთა თანხლებით ჩავა კასელში იმისთვის რომ... (დამახინჯებულია).... ჩვენი ჯარის დემობილიზაცია მოახდინოს. ჰინდენბურგი ეკუთვნის გერმანიის ხალხს და გერმანიის ჯარს. მას ყოველთვის გამარჯვებით მიყავდა ჯარი და არ უღალატა ხალხს, როცა მას განსაცდელის დრო დაუდგა. ჰინდენბურგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ასე არასდროს დაგვახლოვებია, როგორც ახლა. მას ჩვენ ვფარველობთ. ჩვენ ვიცით, რომ კასელის მოქალაქე ჯარის-კაცნი და მცხოვრებნი ენდობიან და პატივსცემენ მას და რომ ის უზრუნველყოფილია შეურაცყოფისაგან. ფელდმარშალი და მთავარი ბანაკის ოფიცრები და ჯარისკაცნი შეიარაღებული იქნებიან.

საგრაფო უფროსი და საბჭოები

პრუსიის მთავრობის დეკრეტის გამო, რომლის თანახმად ოლქების და საგრაფოს უფროსნი თავიანთ ადგილზე უნდა დარჩნენ და მოვალეობის ასრულებას განაგრძობენ, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ოლქების და საგრაფოს უფროსნი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებიან თავიანთ ადგილზე, თუ ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კანტროლ ქვეშ იქნებიან. საგრაფოს უფროსის კანტორაში საბჭო ნიშნავს დელეგატს რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას და თუ საჭირო იქნება იარაღსაც მიმართოს.

დისციპლინა ჯარში.

გერმანული პრესა ნოემბრის 19 (გაგრძელება) ბერლინის სამხედრო კომენდანტის მიერ ჯარისკაცებისადმი მიმართულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ უდისციპლინობა და უთანხმოება უდიდესი საფრთხეა ახალგაზდა რესპუბლიკისთვის. თავისუფლების და წესიერების ინტერესები მოითხოვს რესპუბლიკანურ გვარდიის შექმნას. გვარდიაში მოხალისედ ჩასაწერი ფურცლები დარიგებულია ხალხში. მოხალისენი საკმაო ჯილდოს მიიღებენ, მაგრამ უნდა ჩაეწერონ დიდი ხნით. კომენდანტი მოუწოდებს ბერლინის ჯარისკაცებს ყოველგვარი ღონე იხმარონ, რომ დედაქალაქს დარბევის და სამოქალაქო ომის საფრთხე აიცილოს.

უნტერ-ოფიცრების განცხადება.

ბერლინის ჯარის სხვა და სხვა ნაწილის უნტერ-ოფიცრებმა ფლოტის და ახალშენთა ჯარის წარმომადგენლებთან ერთად შაბათის სხდომაზე ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი მთავრობის მხარეს არიან. მთელ თავის ძალებს მათ განკარგულებაში აძლევენ. უარყოფით ეპყრობიან ბოლშევიზმს და ანარქიას და მოითხოვენ გერმანიის ეროვნულ კრების მოწვევას. უნტერ-ოფიცრებმა თავის უფლებათა დასაცავად ორგანიზაცია მოაწყვეს.

8 საათის სამუშაო დღე.

მთავრობამ გამოაქვეყნა მექარხნეთა კავშირის და ტრედუნიონისტების შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც სხვათა შორის შეიცავს 8 საათის სამუშავო დღეს. ამასთანავე მთავრობა მოითხოვს გერმანიის სამრეწველოების ხელმძღვანელებისგან, რომ ეს დადგენილებანი დაიცვან იმ ოლქებში, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასვე მოუწოდებენ სამრეწველოების დირექტორებს.

კაუცკი და ნაციონალიზაცია.

ცნობილ სოც.-დემოკრატი კარლ კაუცკი დამოუკიდებელ სოც.-დემ. გაზეთ „თავისუფლება"-ში სახიფათოდ სთვლის ეხლავე ნაციონალიზაციის მოხდენას, ვიდრე ამის ხელსაყრელი პირობები არ შექმნილა. ეს იმას ემგსავსებოდა, რომ ხარები ურემს უკანიდან მივაბათ, ეს ნიშნავს გარდამავალ სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც კაპიტალიატურ წარმოების გაგრძელება შემდეგში შეუძლებელია, ხოლო, სოციალისტური კი ჯერ არ არის.

ეს იქნებოდა ისეთი ხანა, რომლის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელია რაციონალური წარმოებას ადგილი ჰქონდეს. ამით წარმოება დროებით უნდა შესწყდეს. სოციალიზმის ასეთი ფორმით დამყარება ახლა, განსაკუთრებით დემობილიზაციის დროს თუნდაც მაგვარი მოთხოვნილებების წამოყენება, ნიშნავს გერმანიის საგიჟეთად გადაქცევას.

ებერტის განცხადება.

სოციალისტმა ებერტმა, რომელიც დამოუკიდებელ სოციალისტ ჰააზესდან ერთად სახალხო კომისართა საბჭოს სათავეში უდგას, ტრანს ოკეანის პრესის მთავარი გამომცემელი მიიღო და გერმანიის რევოლიუციის დასაწყისისა და მიზნის შესახებ შემდეგი განუცხადა „გერმანიის რევოლიუციის წარმოშობის გასაგებად საკმარისია გავიხსენოთ ნოემბრის დასაწყისში ყოფილი მდგომარეობა, გერმანიის ერი, მთლიანად, ზავს საჭიროებდა. ეს სურვილი გამოწვეული იყო სამხედრო, პოლიტიკურ და განსაკუთრებით კი ეკონომიურ მდგომარეობით, რომელმაც ბოლოს და ბოლოს აუტანელი პირობები შექმნა. ყველა ეს ხმები, რომელიც გაისმოდა ზავის ჩამოგდების წინააღმდეგ, ეკუთვნოდა გონება დაკარგულ პირთა მცირე ჯგუფს, რომელთაც დემოკრატიულ პირობებში არავითარი გავლენა არა აქვთ, მაგრამ ჩვენ უნდა შიში გვქონოდა, რომ მთელი ერის სურვილის წინააღმდეგ, ამ ელემენტებს შეეძლოთ ჩვენი ერი ახალ, უფრო საშინელ, მდგომარეობაში ჩაეგდოთ. სწორედ ის ხალხი სცდილობდა, რამდენადაც ძალა შესწევდა, ბოროტ განზრახვის სისრულეში მოყვანას. რომლის მიზეზითაც მოხდა ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო განადგურება: მათი ბრალია, რომ გერმანიის ხალხი საკმაოდ ვერ იკვებება და ამიტომ იყო, რომ მათ არავინ ენდო, განსაკუთრებით, დემობილიზაციის და სასურსათო ნორმალურ მდგომარეობის აღდგენის საკითხებში. მათ დაჰკარგეს ყოველივე ნდობა და არსებობის უფლება, ამ მდგომარეობას იმდენად საერთო ხასიათი ჰქონდა, რომ რევოლიუცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში ფაქტიურად ერთდა იმავე დროს დაიწყო. ყველაზე საყურადღებო ის არის რომ ჯარმა უარი სთქვა ფრონტზე წასვლაზე და გონება დაკარგულ ხალხის გიჟური პლანების განსახორციელებლად უსარგებლოდ თავის დასაღუპავზე. სხვა და სხვა სამხედრო ნაწილშიც ცოტათ თუ ბევრად, ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. შესდგა ჯარის კაცთა საბჭოები. ბევრ შემთხვევაში ოფიცრები დაუყოვნებლივ უერთდებოდნენ ამ ორგანიზაციებს; უნტერ-ოფიცრები კი უკლებლივ უერთდებოდნენ ყველგან ადგილობრივმა მთავრობამ თანხმობა განაცხადა აღნიშნულ ორგანიზაციებთან და ერთ და იმავე დროს შემდგარ მუშათა დელეგაციებთან თანამშრომლობაზე: როდესაც ჯარის კაცთა დელეგატები ერთი-ერთმანეთზე მოდიოდნენ რეიხსტაგში, ბერლინელი დროებითი მთავრობის პირველი საფუძველი უკვე მზად იყო: მაშინვე აშკარა გახდა დაუყოვნებლივ ახალი ძალა-უფლების შექმნა, რადგანაც დამყარებული სისტემა დაირღვა ისე, როგორც ძველი შენობა იქცევა ხოლმე მტვრად.

ეს ახალი მთავრობა უნდა გამხდარიყო ცენტრალური პუნქტი ყველა ერთიმეორესთან კავშირის არ მქონე ორგანიზაციებისთვის რომელნიც საჩქაროთ სდგებოდა ყველგან. ამ ახალ მთავრობას არც ერთი წამი არ უნდა დაეკარგა და უნდა დაეწყო თავისი საქმე და დაუყოვნებლივ ეზრუნა წესიერების დასაცავათ, ასეთ პირობებში თავიდანვე ცხადი იყო, რომ ორივე სოციალისტური პარტია, რომლებმაც რევოლიუცია მოამზადეს და ურომელთათოც რევოლიუცია შეუძლებელი იყო, ამ დროებითი მთავრობაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, სოციალისტურმა უმრავლესობამ, რომელიც ჯერ კიდევ 6 ნოემ. შედიოდა კაბინეტში, ინიციატივა თავის ხელში აიღო, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა, რომ დროებითი მთავრობაში მოეწვიათ აგრეთვე არა სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი, დამოუკიდებელი სო.-დემ. ამის წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ რადგან ჩქარი მოქმედება იყო საჭირო, შეთანხმების გზა საჩქაროთ იქმნა გამონახული. პოლიტიკური გავლენა სოციალისტების ხელშია. ტეხნიკურ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არა სოციალისტურ პარტიათა ყოფილი უმრავლესობა. სოციალისტურ პარტიათა გამოყოფილი ნაწილები ისევ შეერთდა და ორივე ჯგუფი აქტივობას იჩენს, რომ დაეხმაროს საერთო საქმეს, მტკიცე ნიადაგი მოუმზადოს მთავრობას, რომ მისი არსებობა უზრუნველყოფილი იქმნას და რომელსაც ამის შემდეგ მუშაობა შეეძლება. კითხვაზე რა მიზნები აქვს დროებით მთავრობას, ებერტმა უპასუხა: „მისი მიზანია იმის ქონებრივი შედეგი, რაც მე ვსთვი რევოლიუციის აღმოცენების შესახებ. ჩვენი მთავარი მიზანია მივცეთ გერმანიის ხალხს ზავი და პური და ამის მისაღწევათ აუცილებელია წესრიგი და თავისუფლება. ამიტომ ჩვენი ძალა იქით არის მიმართული, რომ შევქმნათ ნორმალურ პირობებში, რომელიც საშვალებას მოგვცემს ვიმუშავოთ. ჩვენთვის აუცილებელია ბრძოლა, იმ პირებს რომელთაც სურთ დაამხონ ახალი მთავრობა, ქუჩაში წესიერება არ დაირღვევა რომ ხელის შემშლელები არ ყოფილიყნენ და ჩვენ არ დაგვჭირდებოდა პოლიციური ზომების მიღება. ჩვენი მიზანი იყო რევოლიუციის ცალკე ეტაპების კორდინაცია და ხალხი სურსათით უზრუნველგვეყო თქვენ თვალს ჩაადევნებდით მუშაობას როდესაც საკანცლერო შენობა დაიკავეთ.

ლიბკნეხტი.

მთავრობის ჯარმა აიძულა ლიბკნეხტი დაეცალა სასახლე, სადაც მას ბინა ჰქონდა. როზა ლუქსემბურგი ძალით გააძევეს, „ლოკალ ანცეიგერის" კანტორიდან. აქედან სჩანს რომ არა ბოლშევიკთა ელემენტები თანდათან ძლიერდება ბერლინში.

სურსათის ტრანსპორტი, იქ მიტანილ უნდა იქნეს ნახშირი. ჯარისკაცები, რომლებიც ბერლინში გაივლიან, ან შინ არიან გაშვებულნი, სურსათით უნდა დავაკმაყოფილოთ. ახალი უწყებები უნდა შეიქმნეს, ძველებმა კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაფერი მდგომარეობა უნდა დაიკავონ. მოკლედ რომ ვსთქვა, აუცილებელია შევქმნათ კოპერაცია და კოორდინაცია იმ ქაოსში, რომელიც უეცრად წარმოიშვა. ამ მიზანს ჩვენ მივაღწიეთ იმის წყალობით, რომ, ყველგან რევოლიუციონერთა შორის გასაოცარი დისციპლინა არსებობდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიის განმავლობაში არც ერთი რევოლიუცია არ ჩატარებულა ასე მცირე სისხლის დაღვრით და უმნიშვნელო ნგრევით. მეორეს მხრით, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველმა მმართველობამ დაუყოვნებლივ განაცხადა დროებითი მთავრობასთან თანამშრომლობის სურვილი. თქვენ უკვე შევნიშნეთ, რომ წინანდელი სამხედრო მინისტრი შეუხი დროებითი მთავრობის დელეგატთან ერთად ასრულებს თავის თანამდებობას და, რომ ბერლინის პოლიციამაც მორჩილება გამოგვიცხადა და ჩვენ განკარგულებაში გადმოვიდა. გარემოებათა გამო ჩვენთვის შესაძლებელი იყო კერძო პირთა მიერ გამოწვეულ ექსცესებს ჩაქრობა. მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ასეთი შემთხვევა ცოტა იყო, დამნაშავენი სხედან ციხეში და ელიან შესაფერ სასჯელს იმის შესახებ, თუ როგორ არის ეხლა საქმე, უნდა სთქვა გადაუმეტებლად რომ გერმანიის რევოლიუცია ბრწყინვალე მაგალითს უჩვენებს მთელ ქვეყანას, რომ ხალხი, რომელიც მომზადებულია და მომწიფებული ყველა უფლების და თავისუფლების მისაღებათ, და მშვიდობით შეხვდა თავის ბედს. განაგებს ხალხის ნებით და ხალხის სასარგებლოდ, როგორც ნამდვილი რესპუბლიკა".

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, ნოემბრის 20. ც. აღ. კ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი წითელი ფრონტი, №-არმიის შტაბი. ნოემბრის 19. ოსინის მიმართულებით მტერი, რომელიც სოფ. კონინოსა და ერემინის რაიონში გვიტევდა, მოვიგერიეთ. კუნგურის მიმართულებით შამარი-კრიუკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. კუშინის მიმართულებით ს. ლაისთან მტერი შეტევაზე გადმოსვლას ეცადა, მაგრამ გავფანტეთ. ოსინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ს. სუგორკა დაიჭირა. კუშინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. სტოკჰოლმი, ნოემბრის 19. ცნობაა, რომ იტალიაში მუშათა შორის დიდი მღელვარებაა. მილანში და სხვა ქალაქებში რამოდენიმე დღეა, რაც ქარხნები აღარ მუშაობს. გ. ნ. ბეზელერმა თავისი შტაბით ვარშავა დასტოვა. პროხოროვკა, ნოემბრის 20. თითქმის მთელ ბელგოროდის მაზრა მეამბოხეთა ხელშია. სოფლებში ყველგან არჩეულია საბჭოები და ღატაკთა კომიტეტები. ზოგიერთ სოფელში შესდგა კომუნისტების იაჩეკები. გლეხები მათ დახმარებას უწევენ. სლავნოე, ნოემბრის 19 ტირ-სპოლის ავსტრიელთა გარნიზონში უწესოებამ იჩინა თავი. ჯარისკაცები მოითხოვენ დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებას. უწესოების დროს გაიტაცეს სახაზინო ფულის ყუთი სადაც დიდი თანხა იყო. ფული ჯარისკაცებმა გაიყვეს. კურსკი, ნოემბრის 19. სევასტოპოლში გერმანელი მეზღვაურები სახელმწიფო ქონებას ჰყიდიან უმრავი ბენზინი და ნავთი მცირე ფასში გაყიდეს. სლავნოე 19 ნოემ. მინსკში იწყება მუშათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები. მაგილიოვი. 19 ნოემბრიდან გერმანელები ვორასოვისკენ წავიდნენ. მცხოვრებლებს ჩამორთმეული ჯოგი დაუბრუნეს. გერმანული აფიცრები სცდილობენ ბელოროსიაში დარჩენას. მათი მიზანია იობრუისკში კონტრ-რევოლიუციონური რაზმის და შტაბის დაარსება. პეტერბურგი 20 ნოემ. ბალტიის გაზეთები გერმანიაში მომხდარ რევოლიუციაზე არაფერს სწერენ. ვორონეჟი 10 ნოემ. როსტოვის რკინის გზის ხაზზე საბარგო ვაგონების ცარცვა გახშირდა. სამშობლოში მიმავალი გერმანიის ჯარი იტაცებს ვაგონებს, და ორთქმავალებს. სარატოვი, 19 ნოემ. გაიხსნა ვოლგის ლითონის ქარხნების მუშათა ყრილობა. დელეგატთა უმრავლესობა კომუნისტია. გერმანიის მუშებს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს. გემების მიმოსვლა ვოლგაზე შესწყდა. სტოკჰოლმი. 18 ნოემ ბელგიაში რევოლიუციაა. ბრიუსელში მბრძანებლობას უკიდურესი მიმართულების გერმანელ ჯარისკაცთა საბჭო. ქუჩებში ბრძოლაა· ბელგიელები მონაწილეობას იღებენ ორივე მხრით. ბევრია მოკლული და დაჭრილი. სტოკჰოლმი 18 ნოემბ. შვეიცარიაში შექმნილ მდგომარეობის გამო საკავშირო საბჭომ 12 დივიზიის მობილიზაცია მოახდინა.

ახალი ამბავი

◆ **სოც.-დემოკრატთა კონფერენცია.** საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია ნოემბრის ოცს დასრულდა. აირჩიეს საოლქო კომიტეტი და გამოიტანეს თვალსაჩინო დადგენილებანი. ამიერიდან ქართველი სოციალდემოკრატები გამოეყვნენ სხვა ერთა ორგანიზაციებს და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელი მიიღეს.

◆ **„ალიონის ჯგუფი".** რადგან საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ თავის კონფერენციაზე თავისი პარტიული დამოუკიდებლობა აღიარა და თავის ორგანიზაციას „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია" უწოდა, ამიტომ „ალიონის ჯგუფი" ამ პარტიას შეუერთდა.

◆ **საბჭოს რეზოლიუცია.** ნოემბრის ოცს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მოისმინა რა მოხსენებები და კამათი გერმანიის რევოლიუციის შესახებ, დაადგინა: 1) საბჭო მიესალმება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დაარსებას გერმანიაში, რომელმაც შექმნა რევოლიუციონური მთავრობა დემოკრატიული ზავის დასამყარებლად და სოციალიზმის და დემოკრატიის იდეალებისთვის საბრძოლველად 2) საბჭო დარწმუნებულია, რომ პოლიტიკურ ბრძოლის და გერმანიის მუშათა კლასის ორგანიზაციის საშუალებით გერმანიის საბჭო რუსეთის რევოლიუციის შეცდომებს, რომელმაც გადაუხვია დემოკრატიზმს და მაქსიმალიზმის და ბოლშევიზმის გზას დაადგა, აიცდენს და მთელ დემოკრატიას თავს მოუყრის რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და წაიყვანს მას დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ. 3, საბჭო რევოლიუციონურ გერმანიისთვის მოითხოვს დემოკრატიულ და საპატიო ზავს და მოუწოდებს ევროპის მშრომელ კლასს დაეხმაროს მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

◆ **კავკასიის ერთა კონფერენცია** ნოემბრის ოცისათვის დანიშნული კავკასიის ერთა კონფერენციის სხდომა ვერ შესდგა.

◆ **სათბობი მასალა.** დღეს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში დანიშნულია კრება სათბობ მასალის საკითხის განსახილველად და მოსაგვარებლად.

◆ **ლექციები** დღეს, ნოემბრის 22-ს, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექციები: ალ. ჭორჭოლიანისა—ფსიქოლოგია და კ. ქავთარაძისა—ისტორია

◆ **დანიშვნა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყოფილი ტფილისის სისხლის მილიციის უფროსის თანაშემწე ნ. შელია დაინიშნა დუშეთის მაზრის კომისარად.

◆ **ქართული ენა.** ქალაქის მოურავმა ნ. ზ. ელიავამ გუშინ განმარტება მისცა ქალაქის გამგეობას და საბჭოს კანცელარიას, რომ ამიერიდან ყველა მის წინ წარმომადგენლობა მთავრობისადმი და მიწერ-მოწერა სამინისტროებთან უსათუოდ ქართულ ენაზე იყოს დაწერილი და ამიტომ საწერ მანქანაზე მომუშავე-მოსამსახურეები შეცვლილი იქმნენ. გამგეობის სხვა განყოფილებაში საქმის წარმოება ჯერ რუსულ ენაზეა.

◆ **ხმოსნობის თავის დანებება.** ქალაქის ხმოსანი ს. ს. არუთინოვი საბჭოდან გავიდა, რადგანაც იგი სომხეთში მინისტრად ამოირჩიეს. იმის ალაგას საბჭომ დაადგინა მოიწვიოს ჯეროვანი კანდიდატი პ. მ. დოლუხანოვი.

◆ **თანაგრძნობა.** მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ სომხეთა მთავრობის თავმჯდომარეს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა მინისტრ-კარჩიკიანის მოკვლის გამო

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. დღეს, ნოემბრის 22-ს სოციალისტ ფედერალისტთა ბიუროში მოხდება ჩვეულებრივი კრება. ამხ. **სამსონ ფირცხალავა** წაიკითხავს მოხსენებას: „დამოუკიდებლობის განვლილი დღეები".

მუშათა კავშირის გამგეობის კრება. დღეს, ნოემბრის 22-ს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება, ყველა წევრისთვის დასწრება აუცილებელია.

კვირას, ნოემბრის 24-ს, საღამოს 6 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კახეთის რკინის გზის სოციალ-ფედერალისტ. პარტიის წევრთა-მოსამსახურეთა საორგანიზაციო საკითხებზე.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

—

საქ სოციალ ფედერალისტთა „მებრძოლთა რაზმის“ წევრების საყურადღებოდ. თითეულს რაზმელს ევალება დაჩქარებით წარმოადგინოს მებრძოლთა რაზმის საბჭოს მდივანთან თავისი სურათი.

—

სტუდენტთა და მოწაფეთა კრება. კვირას, ნოემბრის 24-ს, პარტიულ ბიუროში დანიშნულია ტფილისის სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა მთავარ ბიუროს და სოც.-ფედ. მოწაფეთა ტფილისის კომიტეტის შეერთებული სხდომა. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

გერმანელთა დელეგაციაში

სიფრანგეთში.

ტფილისის გერმანულ დელეგაციის აზრით—ცნობა, რომ საფრანგეთში რევოლიუცია დაიწყო, სიმართლეს სავსებით არ შეეფერება. „ეიფელის კოშკიდან“ დაჭერილ დეპეშების შემდეგ, დამატებითი დეპეშები მოვიდა, რომ საფრანგეთის ფრონტზე ჯარისკაცთა საბჭოები მართლაც შემდგარა და პარიზშიაც ყოფილა სოციალისტების დემონსტრაციები, მაგრამ ყველაფერს ამას მეტად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონია.

საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე ფრონტზედ ყოფილა და უკვე პარიზში დაბრუნებულა.

ნოემბრის 17-ს პარიზში დიდი დემონსტრაცია ყოფილა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ელზასისა და ყველა სხვა გერმანელებისაგან განთავისუფლებულ ქალაქების თავებს.

დემონსტრაციას დიდი აღტაცებით შეხვედრია საფრანგეთის ხალხი.

საერთოდ საფრანგეთში დიდი პატრიოტული აღტაცებაა.

გერმანიის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

გერმანიის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია, რომელშიაც ხალხს ჰპირდება სახელმწიფო მიწების დაყოფას და მსხვილ მიწათმფლობელობის შეზღუდვას. გლეხების ეკონომიური კეთილდღეობისათვის იგი საჭიროდ სცნობს მიწაზედ ერთდროული პროგრესიული გადასახადის დაწესებას.

ამასთანავე მთავრობა აცხადებს, რომ იგი სასტიკად შეებრძოლება ყოველივე ბოლშევიკურ, თუ სხვა კონტრ-რევოლიუციურ გამოსვლებს და მოუწოდებს ხალხს მოემზადონ დამფუძნებელი კრებისათვის.

ახალი მთავრობის მოქმედებანი.

გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა პროფესიონალურ კავშირებს, ერთს დიდს ორგანიზაციაში შევიდნენ და თავისი მწყობრი და შეთანხმებული მოქმედებით, ნიადაგი მოამზადონ დამფუძნებელი კრებისათვის.

მთავრობამ გამოაცხადა აგრეთვე, რომ ბანკებში შენახულ ფულებს კონფისკაციას არ უზამენ. ხელუხლებელი იქნება მიწის საკუთრებაც; ბოლო სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად მესაკუთრენი ვალდებულნი იქნებიან ერთდროულად დაწესებული გადასახადი გაიღონ.

ყველა ოფიცერთა და მოხელეთა ჯამაგირები და ომში დასახიჩრებულთა და მათი ოჯახების პენსიებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო ხაზინის მთელის სიმდიდრით.

ახალი მინისტრი.

გერმანიის მთავრობის შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტრად სახელმწიფო უფლების პროფესორი ჰუგო პრეისი დაინიშნა.

სახალხო განათლების სამინსტრომ განსაკუთრებული ცირკულიარით მიჰმართა სასწავლებლის უფროსებს, რათა მათ ისტორიის სწავლა პარტიულ მისწრაფებისათვის არ გამოიყენონ.

ვილჰელმი.

დეპეშებში უკვე ცნობა იყო, რომ ყოფილმა იმპერატორმა ჰოლანდიაში ჩასვლისას თავისი ხმალი ჰოლანდიელ გენერალს გადასცა. ეს ცერემონია მისთვის იყო საჭირო, რომ ვილჰელმი სამხედრო პირია და გერმანიის ჯარების მთავარ-სარდალი, ხოლო ნეიტრალურ სახელმწიფოში კი, ყოველმა უცხო სახელმწიფოს სამხედრო პირმა იარაღი უნდა აიხსნას.

ყოფილი იმპერატორი ჰოლანდიაში როგორც მოქალაქე შევიდა.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის მინისტრმა. გარეშე საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით განკარგულება გასცა, რომ გადაეცეს თერგის მთავრობას ყველა ის სამოსამართლო საქმეები, რაიც კავკავის საოლქო სასამართლოს შეეხება და შემოსულია ტფილისის სასამართლო პალატაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო.

უცხოელ ქვეშევრდომების მიწები.

ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ მოისმინა ც.-ობა გარეშე-საქმეთა სამინისტროსი საქართველოში მომქმედ კანონისა უცხოელ ქვეშევრდომ კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: რადგანაც აგრარული კანონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა არ გულისხმობს მას, რომ მიწები, რომელიც უცხოელებს ეკუთვნით გამორიცხულ იქნება იმ საერთო წესიდან, რომლის ძალითაც ყველა მესაკუთრეთა მამული ხდება საერთო სახელმწიფოს კუთვნილებათ, ამიტომ საქართველოს აგრარული კანონები ვრცელდება უცხოელთა მამულებზედაც.

კომისიის გამგზავრება.

ქუთაისს გაემგზავრა საგანგებო კომისია, ცენტრ. საადგილ-მამულო გამგეობის წევრის მ. ქარცივაძეს მეთაურობით, კომისიას დავალებული აქვს ანახოვის მამულის მიღება.

ახალციხის და ახალქალაქის ლტოლვილთა საქმისათვის

მიუხედავად მთავრობის ენერგიული ცდისა და ადგილობრივ ოსმალთა ჯაოეის უფროსთან არა ერთ გზით მოლაპარაკებისა, ჯერ-ჯერობით მაინც შეუძლებელი შეიქმა ლტოლვილთათვის თავის მხარეში დაბრუნება. ოსმალთა ჯარების ადგილობრივი უფროსები მუდამ დაპირებებით გვკვებავდნენ და უკანასკნელად კი მიგვითითეს ტფილისში არსებულ ლტოლვილთა დაბრუნების საქმის მომწყობ შერეულ კომისიაზე, მაგრამ არ ვიცით რა მიზეზით, ოსმალთა დელეგატებმა ამ კომისიაში სამი დღეა მუშაობა შესწყვიტეს და ის დაშლილად გამოაცხადეს. ჩანს ოსმალეთის სარდლობის საქმის გაჭიანურება აინტერესებს, რომ ამით შესაძლებელი გახადოს მაზრებიდან ლტოლვილთა მთელი ქონების და საზრდოს გაზიდვა.

ჩვენ ამის შემდეგაც დაჟინებით მოვითხოვთ ლტოლვილთა დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ყოველ ღონეს ვიხმართ ამის დასაჩქარებლად, მაგრამ რომ ლტოლვილნი, კიდევ უარეს გაჭირვებაში არ ჩავარდნენ, ვაცხადებთ მათ საყურადღეოდ, რომ იმ ადგილებიდან, სადაც ეხლა მათ შეუფარებიათ თავი (ყარაიაზი, სართიჭალა, გორი და სხვა) ჯერ ჯერობით ნუ დაიძრებიან, ვინაიდან იაკურიანის და ბჟუჟის რაიონებში უკვე სამი დღეა განუწყვეტლივ მოდის თოვლი და ღია ცის-ქვეშ დაყრილი ლტოლვილები აუწერელ გაჭირვებაში არიან.

ვაცხადებთ-რა ამას, ვთხოვთ ყველა იმ ადგილების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც ეხლა ლტოლვილები იმყოფებიან, მოუძებნონ თავშესაფარი ბინები მაინც, რომ სანამ სამშობლოში დაბრუნებას შესძლებდენ, ყინვისაგან სრულიად არ ამოწყდნენ.

ჩვენის მხრით მთელი ძალ-ღონით ვეცდებით ამ საქმის სასწრაფოდ მოწყობას და პირველ შესაძლებლობისთანავე დეპეშით ვაცნობებთ, როგორც მთავრობას, ისე ყველა იმ ადგილებში, სადაც ეხლა ლტოლვილები არიან დაბინავებული.

გენერალ-მაიორი **მაყაშვილი.**
მთავრობის რწმუნებული **ლ. რუხაძე.**

ხმა ალბულიდან

დამსჯელი რაზმი, რომელიც ალბულალს ეწვია 5 ენკენისთვეს ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ჩადენილ საგმირო საქმეებისა გამო, 18 ოქტომბერს მოიხსნა და წავიდა. წინეთ თუ ხალხს დიდი მოუსვენრობა ემჩნეოდა, დღე და ღამ თუ ყველანი რაღაც ფაცა-ფუცსა და იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ ცეხაუზებიდან და ან სხვა სახელმწიფო შენობიდან რაიმე ესარგებლათ, დღე და ღამ თუ განუწყვეტელი უთავბოლო სროლა ისმოდა,—დღეს ყველა ამას ბოლო მოეღო. ალბულალი და იმისი მიდამოები ეხლა სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს და ხალხი ნელა-ნელა ერკვევა, გონს მოდის და კიდევაც აღიარებს თუ როგორ უწესობას ჩადიოდნენ და ღირსიც იყვნენ სასჯელისა. მაგრამ შიგა და შიგ იმის სამართლიანი საყვედური ზოგ უსამართლობისა გამო, რომელსაც სამწუხაროდ ჰქონია ადგილი რაზმის მოქმედების დროს.

ხალხში დამალული იარაღი ჯერ კიდევ ბევრია. კამისარს ვ. იშხნელს დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვს; მეტი ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირთ არის მილიციონერების მეტი უზრუნველყოფა, რადგანაც 250 მ. მილიციონერი დიდ ერთგულებას სამსახურისადმი ვერ გამოიჩენს, მით უმეტეს, როდესაც ცხენიც თავისი ხარჯით უნდა შეინახოს.

მინდა ვისიც ჯერ არს ქვემო მოყვანილ გარემოებას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. პირველი შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის სრულ მოუწესრიგებლობას. წინეთ თურმე ყოველდღე მოდიოდა ფოსტა და დღეს, როდესაც ყველა პატარა სოფლებსაც კი პირდებიან ფოსტის მოწყობას, აქ სამოცი წლის მოგვარებული საქმეც სრულებით შეწყდა. ვინმე რუდაკოვა იყო გარიგებული და ამ ბოლო წელში კვირაში სამჯერ მეტად აღარ მოჰქონდა—ქერი გამვირდა. ის ეხლა სულ გადაკარგულა სადღაცა და ფოსტაც სრულებით შეწყდა თვეზე მეტია. სიცოცხლე სრულებით მოდუნდა. თურმე ჩვენი კულტურული სიცოცხლის ძაფები რუდაკოვის ხელში ყოფილა, იმას ეძებენ და თუ ვერ იპოვეს, ალბად სრულებით მოწყვეტილი ვიქნებით მთელ ქვეყნიერებას. ტფილისამდის პირდაპირი გზით იქნება 35—40 ვერსი და არ ვიცი მაგალ. დღეს ტფილისში რა ხდება, ამიტომ არის აქ რომ ყოველნაირი ჭორი ელვის სისწრაფით მოედება ხოლმე მთელ მხარეს. ტფილისზე ალექსეევის აეროპლანები დაფრინავდნენო და სხვა. ამათ ზღაპრებს ვინ უგდებს ყურს, მაგრამ ნამდვილი ამბების გაგების საშუალებას რომ მოკლებული ხარ, მოთმინება გეკარგება და მწარედ სწყევლი ბედს, რომელმაც პროვინციაში სამსახური გარგუნა წილად.

ალბულალის და იმის მიდამოების ყველასაგან სრულ უყურადღებობის ერთ უტყუარ ფაქტად შემდეგი გარემოებაც უნდა ჩაითვალოს: მთელი სოფლები მოდებულია სხვა და სხვა გადამდებ ავადმყოფობით, რის გავრცელებას ხელი შეუწყვეს კალიასავით მოდებულმა ლტოლვილებმა. სოფელს მუსრს ავლებს სახადი (ტიფი) და მუცელა და მკურნალი არავინ არის. რაიონს თურმე ექიმი ჰყოლია, მაგრამ იმისი სახის მნახველი ადამიანი აქ არ მოიპოვება. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

უკანასკნელად უნდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა აქაური აფთიაქის უკანტროლოდ მოქმედებაზე. ვინ არ გიხდათ იმაში რომ არ მუშაობდეს დაწყებული ყოფილ სოფლ. მასწავლებლიდან, ვიდრე ფოსტის მოხელემდე. ფარმაცევტის ცოდნა არც ერთს არ აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აფთიაქის ყოფილ გამგეს, რომელიც 90 წლის არის და დავარდნილი იმყოფება და აფთიაქისათვის აღარ სცხელა. ფარმაცევტთა კავშირმა ამ მოვლენას აუცილებლივ ყურადღება უნდა მიაქციოს და შესაფერისი ზომებიც მიიღოს, მით უმეტეს რომ ფასებიც მეტად საეჭვო არის დადებული წამლებზე შედარებით ტფილისის აფთიაქებისა.

რაიონი ვრცელი არის და მჭიდროდ დასახლებული, ბუნება მდიდარი, რის ნაყოფის მეტი წილი ტფილისის ბაზარზე შემოდის და ამიტომ ეს მხარე მეტი ყურადღების ღირსია ჩვენი დედა-ქალაქის მიერ, მით უმეტეს, რომ მის განუყრელ ნაწილს შეადგენს; იმის მაზრათ ითვლება. მოგვხედეთ და თქვენი ჩვენდამი მზრუნველობის ნამყოფიც სინამდვილედ გვაგებინეთ!

ჯვარის ეწრელი მღვ—ლი.

თეატრი და ხელოვნება

(შაბათის კონცერტის გამო)

ჩვენმა ახალგაზრდა სამუსიკო საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება მიიქცია ამ მოკლე ხანში მუსიკოსებისა თავის საინტერესო კონცერტებით, როგორც მუსიკალურის, აგრეთვე შინაარსის მხრივ.

დაარსა ორი სტიპენდია განსვენებულ უწმიდეს საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორე და დ. ზ. სარაჯიშვილის სახელისა. რომელთაც სამუსიკო სკოლას აღმოუჩინეს მატერიალური დახმარება. ჰმართავს შეგირდებისათვის და მშრომელ ხალხისათვის უფასო კონცერტებს მათ გასანვითარებლად და გასართობათ.

შეუდგება სხვა და სხვა ისტორიულ ლექციების მართვას ქართველ და სხვა ერების მუსიკის შესახებ.

ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობას ფართო გეგმა აქვს. საზოგადოება უნდა დაესწროს ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამართულ კონცერტებს და საზოგადოების წევრადაც ჩაეწეროს. **კ.**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.

გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი **ლ. ა. ხარაძიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი **გ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყარდანოვის ქ. № 6.

ექიმი **ქალი რ. ბ. შიუკლო.-სახაშ[illegible]ლი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი **ნ. დ. თურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბეიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი **ზ. ქ. აბაკელია** შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო. მუდმივი [illegible] ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი **ი. ი. გვარიშვილი.** მიღება ვენერიული სნეულებების, სიფილისის (შეშხაპუნება „914“) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 291

ექიმი **კ. ტყეშელაშვილი,** განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლ[illegible]ნისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაქებისა- მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. ზ. მეზრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულისა და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. მ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყური, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ნ. გ. ავეტიხიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ლ. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 8 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.